



გარეჯოს მასხნა

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11 2011 წ. 1-15 ნომბერი ფასი 50 თეთრი


გაგზავნის თათბირის დღიურიდან

ფუტკარი და მისი მოვლა



მეორე-მეშვიდე გვერდები

მწარმეთათვის რის უფლება აქვს მენარკმს?



მესამე გვერდი

თოსლიაური

მეოთხე-მეხუთე გვერდები

მამის საუბარი



მეხუთე გვერდი

"წყალი - ჩვენი პრისონა"



მესამე გვერდი



1 ნომბერი, 2011 წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუ-

ნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გია ჩალათაშვილი, გამგებლის მოადგილეები ბ-ნები გონა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი და შალვა ჯაბადარი, გამგეობის პრესსამ-

სახური და სამსახურების უფროსები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები. თათბირს უძღვებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გია ჩალათაშვილი. მან თათბირი კახელებისათვის და ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის შეტად საინფორმაციო ინფორმაციით დაიწყო. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, კახეთის რეგიონის იმ მოსახლეობას, რომელთაც ელექტროენერჯია მიეწოდება კომუნალური, საერთო მრიცხველით, სახელმწიფო მოახდენს დაგვიანების ანუ უღირებას იმის გამო, რომ წყალდიდობისა და სტიქიისაგან დაზარალებულ კახელ მოსახლეობას ეკონომიურად უჭირს. ამ შემთხვევაში ეს განკარგულება მოქმედებს ყველა აბონენტზე, გარდა ქალაქ საგარეჯოს, პატარძელის, გორგოწმინდისა და ნინოწმინდისა, სადაც უკვე მოხდა აბონენტთა გამრიცხველიანება. თათბირზე ბ-ნმა გია ჩალათაშვილმა განსაკუთრებული ინტერესით გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთაგან ადგილზე პროექტების განსახორციელებლად სამშენებლო თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის მდგომარეობა.

საპრეზულოს სტრატეგია

განიხილეს 9 თვის შედეგები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28 ოქტომბრის სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ბუზარიაშვილი, ფრაქციათა და მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები, დეპუტატები. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო საკრებულოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ილია ჭიაურელმა.

250 ათასი ლარის ოდენობით; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 31151 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის 9 თვის შედეგებზე სხდომის მონაწილეების წინაშე კვლავ ქ-ნი თინათინ ძაბილაშვილი (თანამომხსენებელი ზ. ქურთიშვილი) წარსდგა როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის 9 თვის საშემოსავლო ნაწილმა 58983 ათასი ლარი შეადგინა წლიური გეგმის 73%, ხოლო საგასავლო ნაწილმა 5147.58 ათასი ლარი, წლიური გეგმის 60.1%. ამასთან აღნიშნა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იქნა 2010 წლის 28 დეკემბრის №33 დადგენილებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის, საქართველოს კანონების „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, 2005 წლის 23 დეკემბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2011 წლის 9 თვეში რეაქტრ განიცადა ცვლილება. ცვლილება შეეხო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე გადასახდელის ნაწილს. კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 3330,1 ათასი ლარით, შემოსავლები გაიზარდა 2522,2 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება გაიზარდა 345,1 ათასი ლარით. შემოსავლები დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის

შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 750,6 ათასი ლარით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 910 ათასი ლარით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 ივნისის №1172 განკარგულებით „საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი 50 ათასი ლარით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის №1235 განკარგულებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 50 ათასი ლარით და 7 სექტემბრის 1757 განკარგულებით გამოყოფილი 700 ათასი ლარით. ქონების გადასახადის გაზრდით 42,4 ათასი ლარით (მათ შორის: 80 ათასი ლარით გაიზარდა საწარმოთა ქონების გადასახადი და 9,5 ათასი ლარით შემცირდა გადასახადი ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა), 30 ათასი ლარით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი და 1,9 ათასი ლარით დაიგეგმა სხვა გადასახადები) და სხვა შემოსავლების შემცირებით 10,8 ათასი ლარით. სხვა შემოსავლების კლება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შემცირებით 57,3 ათასი ლარით, შემოსავლის შემცირებით მიწის იჯაროდან 7,1 ათასი ლარით, სანებართვო მოსაკრებლის შემცირებით 15 ათასი ლარით, პროცენტებიდან შემოსავლების დაგეგმვით 50,0 ათასი ლარით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის დაგეგმვით 4,2 ათასი ლარით, სთამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გაზრდით 12,4 ათასი ლარით

დასასრული მეორე გვერდზე



რა უნდა იყო განსახადი განაღდალი

განსახადის მიხედვით გაეკეთათ ანაღ-
იზი იმ დაშვებულ შეცდომებზე, რაც არცთუ
იშვიათად პრაქტიკაში მხედვება და სან-
ტერესო იქნება თავად მეწარმეებისათვის.

განსახადის გადამხდელს გააჩნია კანონით
განსახადდებული ვალდებულებები, ესე-
ნია:

- შესარელოს საგანსახადო ვალდებულებები საგანსახადო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;
- აღრიცხვავ დადგეს შესაბამის საგანსახადო ორგანოში ან დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში) იურიდიული პირების რეგისტრში;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანსახადო ორგანოს წარუდგინოს საგანსახადო დეკლარაციები, გაანგარიშებები და სააღრიცხვო დოკუმენტები;
- საგანსახადო შემოსევების ჩატარებისას საგანსახადო ორგანოს ან მის უფლებამოსილ პირს წარუდგინოს საგანსახადების გამოსაანგარიშებლად და განსახადდებლად საჭირო დოკუმენტები;
- უზრუნველყოს იმ დოკუმენტების შენახვა 6 წლის ვადით, რომელთა საფუძველზეც ხდება საგანსახადებში დაბეგრის ობიექტების აღრიცხვა და საგანსახადო დეკლარაციების შედგენა, აგრეთვე შემოსავლების მიღების, გაწვეული ხარჯებისა და გადახდილი ან დაკავებული საგანსახადების დადასტურება.

ყოველივე ამასთან განმარტავ, რომ სააღრიცხვო დოკუმენტაცია 6 წლის ვადით ინახება საგანსახადო მიზნით, ვინაიდან საგანსახადო კოდექსი ხანდახმულობის ვადად 6 წელს განიხილავს, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება განისაზღვრება დაწესებულებაში ტიპობრივი დოკუმენტების ნუსხისა და დოკუმენტების საწყვეტო ნუსხების შესაბამისად (საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის № 70 ბრძანებულების თავე II მუხლი 9).

ხშირ შემთხვევაში, განსახადის გადა-
მხდელს ესაჭიროება განმარტება მის მიერ
შესრულებული ან შესასრულებელი სამეურ-

ნეო ოპერაციისას საგანსახადო კანონმ-
დებლობის გამოყენების შესახებ, ამ შემთხ-
ვევაში საგანსახადო ორგანოს უფროსი
ან მისი მოადგილე უფლებამოსილია, გა-
დასახადის გადახდელს გაუზღავნოს წერ-
ილობითი განმარტება, რომელიც გამოხ-
ატავს საგანსახადო ორგანოს პოზიციას,
თუმცა აღნიშნული განმარტება წარმოად-
გენს რეკომენდაციას და მას არა აქვს
საგანსახადო იურიდიული ძალა.

მაშინ დაისმება ლოგიკური შეკითხვა –
აბა ვინ უნდა განუმარტოს მეწარმეს
მისთვის საინტერესო საკითხი? პასუხი
ცალსახაა – კანონის განმარტების უფლე-
ბა აქვს მხოლოდ სასამართლოს, კონკრე-
ტული დავის განხილვის დროს ამ ნორმის
გამოყენების კანონიერების შემფასებო-
სას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გა-
მომდინარე მიეცემ ჩემს თავს უფლებას
და გურმე მეწარმეებს, სანამ ბიზნესის
წარმოებას შეუდგებიან კარგად გაერკვნენ
საგანსახადო კანონმდებლობაში, გაეცნონ
იმ საგანსახადების არსს, რომლის გადახ-
დაც მოუწევთ, ისევე როგორც საგანსახადო
ვალდებულებათა შესრულების წესები და
მათი წამოწყვეტილი ბიზნესი წარმატებუ-
ლი იქნება.

2011 წლიდან ამოქმედდა ახალი საგან-
სახადო კოდექსი, რომელმაც განსახადის
გადამხდელის ახალი სტატუსიც
შემოიღო, როგორცაა “მიკრო ბიზნესი”
და “ცივი ბიზნესი”.

მიკრო ბიზნესი შეიძლება მიენიჭოს
ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს და-
ქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდუ-
ბლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას,
რომელთა მიერ მისაღები ჯამური ერ-
თობლივი შემოსავალი კალენდარული
წლის განმავლობაში არ აღემატება 30
000 ლარს.

დასაშვებია შესყიდული საქონლის გად-
ამუშავება და მიწოდება.
მაგალითად ასეთი საქმიანობების სახ-
ეებს განეკუთვნება ისეთი საქმიანობები,
როგორცაა:

1. ტანსაცმლის ქსოვა ხელით და მისი
შემდგომი რეალიზაცია;

საუბარი მწარმოებლის

2. ჩურჩხელის ამოვლება და შემდგომი
რეალიზაცია;

3. ნამცხვრების ცხობა და რეალიზა-
ცია;

4. ტელაპისა და ჩირის წარმოება და
შემდგომი რეალიზაცია;

5. ხისა და თიხის მასალისაგან ხელით
დამზადებული ნაკეთობების (მაგ: ქოთნე-
ბი, კალათები და ა.შ.) წარმოება და რე-
ალიზაცია;

6. საკუთარი ავტომობილით მომსახურე-
ბის გაწევა და სხვა ანალოგიური საქმი-
ანობა;

7. სხვა ანალოგიური სახის საქმიანობე-
ბი, რომლის განხორციელება არ არის
აკრძალული.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზი-
კური პირი არ იხდის საშემოსავლო გა-
დასახადს;

საგანსახადო კოდექსის 259-ე მუხლის
მე-4 ნაწილის “გ” პუნქტით თავისუფლდე-
ბა საკონტროლო-საღარიო აპარატის
გამოყენების ვალდებულებისაგან.

დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს
უფლება აქვთ მიკრობიზნესის სტატუსის
მისაღებად მიმართონ საგანსახადო
ორგანოს განცხადებით, რომელიც მათ
მიანიჭებს მიკრო ბიზნესის სტატუსს.
ამასთან

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზი-
კურ პირებს ეკრძალება შემდგომი საქმი-
ანობების განხორციელება:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროე-
ბენ ლიცენზირებას ან ნებართვას;
 2. საქმიანობები, რომლებიც დაწვე-
ბულმა შემოსავლებმა კალენდარული
წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარ-
ბოს 30 000 ლარს;
 3. საგალუკო ოპერაციების განხორ-
ციელება;
 4. სამედიცინო, არტიტქტურული, საად-
ვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონ-
სულტაციო (მათ შორის, საგანსახადო
კონსულტანტთა) საქმიანობა;
 5. სათამაშო ბიზნესი;
 6. ვაჭრობა.
- შენიშვნა: აღნიშნული დანართის მე-6
პუნქტი არ ეხება იმ შემთხვევას, როდეს-
აც ხორციელდება შესყიდული საქონ-
ლის გადაამუშავება და მიწოდება.

საქმიანობის სხვაობები

საქმიანობის სხვაობების განსაზღვრის მიზნით შეიქმნა
საქმიანობის სხვაობების კატეგორიები
სადაც მითითებულია მათი დასახელება
და მოსახლეობის განსაზღვრის მიზნით
შემოქმედებულია სპეციალური მეთოდები.
სადაც მითითებულია მათი დასახელება
და მოსახლეობის განსაზღვრის მიზნით
შემოქმედებულია სპეციალური მეთოდები.
სადაც მითითებულია მათი დასახელება
და მოსახლეობის განსაზღვრის მიზნით
შემოქმედებულია სპეციალური მეთოდები.

წყალი – ჩვენი ზრუნვის სასმელი წყალი

ევში“, ასევე ამავე ფონდის დაფინანსებით იქნა
აღდგენილი სტიქიით დაზიანებული წყლის
სათავე ნაგებობები: სოფელ ბოგდანიოვკაში
„ბუჯან ფშაზე“, ბადიურში, ყანდაურში, შიბ-
ლიანში ე.წ. „კუსწყაროსა და „მუხის წყარო-
ს“.

ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ჩატარე-
ბის მიზანი ის არის, რომ მუნიციპალიტეტის
მოსახლეობას მიეწოდოს სასმელი წყალი
მუდმივ რეჟიმში და ხარისხიანი. სასმელი
წყლის ხარისხზე კი მუნიციპალიტეტის ხე-
ლმძღვანელობამ შპს საგარეჯოს მუნიცი-
პალიტეტის სასმელი წყლის ხარისხის ქიმი-
ურ-ბაქტერიოლოგიური კვლევითი ცენტრის
(უფროსი ხათუნა ჯანაიანი) თანამშრომ-
ლებს მიანდო, რომელთა მაღალკვალიფიცი-
ურობასა და პასუხისმგებლობაზე უკვე
გეგმონდა საუბრო ჩვენი გაზეთის წინა ნომ-
რებში. დღეს ქიმი ხათუნა ჩვენი გაზეთის
სამუშალებით გავფრთხილებს, რომ:

- ტემპერატურის დაწვასთან დაკავშირე-
ბით წყლის ხარისხი უზღობდება, ნაკლებად
არის მოსალოდნელი სასმელი წყლით
ადამიანის ინფექციური დაავადებებით დას-
ნებობება, მაგრამ არის მეორე საშიშროება
იმისა, რომ გაფრთხილებული ადამიანის მიერ
შეიძლება იხე დაბინძურდეს და დანაგვიან-
დეს სასმელი წყლის სისტემა, სათავე-ნაგე-
ბობები, რომ მას მეორედ დასჭირდეს რეაბილი-
ტაცია, ან ინფექციის წყაროდ იქცეს. ამიტომ,
ყველანაირად უნდა ვეცადოთ არ დავაბ-
ინძუროთ სათავე-ნაგებობებთან ახლო ტერ-
იტორია (შეიძლება მოიჭრას ხე, ან გაიაროს
საქონელმა), რომ შემოღობის გახშირებულ-
მა წვიმების წყალმა ხის ტოტები, ვოთლები
ან საქონლის ნაკელი არ ჩაიტანოს სათავე-
ნაგებობაში, სადაც დაიწყება ლობობის პრო-
ცესი, რის გამოც არ არის გამორიცხული
საგანგაშოდ დაბინძურდეს სასმელი წყალი.
ძალიან კარგია და ეს მოსახლეობის ჯანმ-



მელი წყლის უხარისხობის შესახებ.

საუბარი აღარ გაგრძელებულა, მას
შემდეგ, რაც ბ-ნმა ფარნამ ჩვენ შეკითხ-
ვაზე: რამდენია აქტიური ქლორის რაოდენო-
ბა სასმელი წყლის დაქლორვისას და
რამდენია ნარჩენი-ნაშთი ქლორის შემ-
ცველობა ყოველი დაქლორვის შემდეგ
სასმელ წყალში, უბრალოდ და მარტი-
ვად გვიპასუხა: „ყველა იმ ნორმით, რაც
დასაშვებია“.

როგორც სარწმუნო წყაროდან, სპე-
ციალისტთან შეხვედრის შემდეგ შევი-
ტყვეო, სასმელი წყლის სისტემის დაქლორ-
ვისას აქტიური ქლორის რაოდენობა უნდა
იყოს 25%, ხოლო ყოველი დაქლორვის
შემდეგ ნარჩენი (ნაშთი) ქლორის შემ-
ცველობის ნორმა 0.3 პროცენტია.

დადგენილი წესით და კანონით სასმე-
ლი წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი
კვირაში ორჯერ კეთდება, ხოლო სასმე-
ლი წყლის ქიმიური შემოწმება ყოველ-
დღე უნდა ხდებოდეს. მთავარია ეს ნორმე-
ბი იქნეს დაცული და აღარავის ექნება
სასმელი წყლის ხარისხზე პრეტენზია,
თუმცა, ეს პრეტენზიებიც ზოგჯერ შოგა-
დაში, აქა იქ თუ გაიდგება, ისიც ალბათ
ისევ და ისევ ჩვენივე დაუდევრობით სას-
მელი წყლის მიმართ.

მოამზადა: თინა ილაყრმა



საბარჯოს მუნიციპალიტეტი

ტერიტორიული პოლიტიკა

თოხლიაური

დასასრული

სელმა თორნიკე ჩიტოქე გვასახელა და თავისუფალ ჭიდაობაში თავის ტოლებში რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. გვეყავს შეჯიბრებებში მერე-მესამე ადგილებზე გასული მოჭიდავეებიც.

ჩვენი სკოლის პედაგოგები ყველანაირად ცდილობენ ფეხი აუწყოთ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, ყველა სიახლეს, დახვეწონ თავიანთი გამოცდილება, ცოდნა გაიმდიდრონ და სიახლით გეტყვიან, რომ თუ ჩვენს რაიონში ორი სერტიფიცირებული პედაგოგი გვეყავს, რომელსაც 1000 ლარი აქვს ხელფასი, ერთ-ერთი ჩვენი მათემატიკის მასწავლებელია – მარინა ჩერქეზიშვილი. გვეყავს მერე პედაგოგიც – ანა ტივინაშვილი, რომელიც ხელფასის დანამატს 75 ლარს იღებს. მან ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში წარმატებით ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდები და დღეს ამ გამოცდებზე გასასვლელად ჩვენი პედაგოგები მართლაც რომ მაღალი პასუხისმგებლობით ემზადებიან – დამეთანხმებით, მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაში მართლაც რომ დიდი მოთხოვნებია პედაგოგების წინაშე.

ბ-ნ ირაკლის თოხლიაურის შესახებ



მარინა ჩერქეზიშვილი, სერტიფიცირებული პედაგოგი

ორიოდე სიტყვა ვთხოვეთ, მასაც უარი არ უთქვამს.

– სოფელ თოხლიაურის ახლანდელი ტერიტორია XVI საუკუნიდან დასახლდა, რადგან აქაური მოსახლეობა შაჰ-აბასმა სხვა კახელებთან ერთად დღევანდელ ფერეიდანში გადაასახლა. ისე, ისტორიულ წერილებში სოფელი თოხლიაური XV საუკუნიდან იხსენიება. სოფელში თავადები ჩერქეზიშვილები ცხოვრობდნენ, რომლებსაც სოფელ თოხლიაურისა და ჩაილურის ვენახები ეკუთვნოდათ.



საბავშვო ბაღის აღსაზრდელები აღმზრდელ მაია ფოცხვერაშვილთან ერთად

ჩერქეზიშვილები, როგორც თავადები, შემადგენლებად იღებენ, ქვემოთ განსახლებული იყო მათი ყმა-გლეხების გორგიაშვილებისა და ყიასაშვილების გვარები. სოფელი დღევანდელ „ყიასაანთ ხევს“ გასწვრივ იყო განლაგებული კომპაქტურად, შემდეგ კი, როცა დიდი ნაწილი მართლაც დაზარალდა – ე.წ. „მათიანთ ხევის“ ადიდების გამო, ადიდებული მდინარე კალაპოტში ვედარ ჩაეცია და დასახლება თითქმის ორად გაყო. როცა მოსახლეობამ უსაფრთხოება იგრძნო, ნარიყალ ადგილებში დასახლდა და განაღდა სხვადასხვა სახელწოდების უბნებიც.

კომუნისტებამდე დღევანდელი რკინიგზის ხაზის ქვემოთ და ცოტა ზემოთ-

აც, ადგილები სულ დაჭაობებული იყო. ამ ადგილებს „თოხლო“ ანუ არამყარ ადგილებს უწოდებდნენ. ამბობენ, აქედან წარმოიშვა სწორედ სოფლის სახელწოდება „თოხლიაური“. გასახტოების, კოლმეურნეობისა და შემდეგ მეურნეობის ჩამოყალიბებამ სოფლის ე.წ. თოხლო ადგილები დაახლოებით 700-800 ჰექტრის ოდენობით, აქაურ სოფლებს დაუბრუნათ – აქ გააკეთდა უზარმაზარი სადრენაჟო ქსელი, რამაც ჭაობის წყალი ხევებში გადაანაწილა, თუმცა ბოლო წლებში აღმოჩნდა, რომ სადრენაჟო ქსელი გადაიღეს მიწით და ალაგ-ალაგ ისევ ჭაობები გამოჩნდა.

ჩვენთვის საამაყოა ის, რომ სოფელი თოხლიაურის გარკვეული ნაწილი – ზემოთ ნახსენები რკინიგზის ხაზის ზემოთ, შედის ისეთი უნიკალური ყურძნის ჯიშის გაშენების არეალში, როგორიცაა „მანავის მწვანე“.

სექტემბერში თოხლიაურში იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრას-რუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების გრანტის“ ფარგლებში დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროექტების შენახვისა და დაფასოების ცენტრი გაიხსნა. როგორც საქართველოს აგროტექნიკური ასოციაციის წარმომადგენელმა ბ-ნმა ირაკლი ჩარკვიანმა გვითხრა: – პროექტი, რომელიც იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტით დაფინანსდა, მიმართულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობისათვის. პროექტი გაგრძელდება იმ პროექტისა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტექნიკის შექმნას სოფელ თოხლიაურისათვის. ამ შემთხვევაში კი ცენტრი ხელს შეუწყობს არა მარტო თოხლიაურელ გლეხებს, არამედ მთელი რეგიონის მოსახლეობას – თავიანთი შრომით მოწეული მოსავალი შესანახად და დასაფასოებლად მიაბარონ ცენტრს განსაზღვრული ვადით.

ცენტრის სამაცივრე განყოფილება სამი დამოუკიდებელი სათავსოსაგან შედგება. თითოეულ მათგანში განსხვავებული რეჟიმი იქნება, რადგან ხილს, ბოსტნეულს სხვადასხვა შენახვის რეჟიმი სჭირდება. ამჟამად მაცივარში შენახულია 15 ტონა სუფრის ყურძენი და სასაწყობე ფართობში 20 ტონა სიმინდი. სამაცივრე

განყოფილებას ერთდროულად შეუძლია მიიღოს და შეინახოს 35 ტონა ხილი ან ბოსტნეული, ხოლო სასაწყობე მეურნეობას, ვთქვათ, 80 ტონა სიმინდი. 1 ტონა სიმინდზე ან ხორბალზე, საერთოდ, მარცხლეულზე თვეში გადასახადია 20 ლარი, ხოლო 1 კგ. ხილზე, ბოსტნეულზე ერთი თვის ვადით – 15 თეთრი. სურვილის შემთხვევაში მოხდება ხილის, ბოსტნეულის დაფასოება მარკეტებსა და ბაზრებში მეპატრონის მიერ სარეალიზაციოდ გასატანად.

მზია ტარტარაშვილი,



საბავშვო ბაღის მენეჯერი

დაბადებული 1963 წელს მანავში. დამთავრა ვოკებაშვილის სახელობის სახელმწიფო სასწავლებელი. მუშაობდა სოფელ ბურდიანის საბავშვო ბაღში აღმზრდელად, შემდეგ 1989 წლიდან თოხლიაურის საბავშვო ბაღში ჯერ აღმზრდელად, 1996 წლიდან კი ამავე საბავშვო ბაღის გამგეა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– საბავშვო ბაღის შენობა გასული საუკუნის 80-იან წლებში შევიდა ექსპლუატაციაში. ფართობი მართლაც რომ დიდი იყო და იმის გამო, რომ აღსაზრდელთა კონტიგენტი შემცირდა, თანდათანობით საბავშვო ბაღის შენობაში გადანაწილდა სხვადასხვა სამსახურებიც. რაც შეეხება საბავშვო ბაღს, დღეს აქ 21 აღსაზრდელია, რომელთა აღზრდას პედაგოგი მაია ფოცხვერაშვილი ემსახურება. ეს არის შერეული ჯგუფი 3-დან 5 წლამდე ასაკის აღსაზრდელბით. საბავშვო ბაღში სამი ოთახია: სამეცადინო, საძინებელი და დარბაზი. ამას ემატება სამზარეულო და ტუალეტი. ჩვენი საბავშვო ბაღიც ემსახურება ბავშვის პარამონიულ განვითარებას, რაც გულისხმობს ფიზიკურ-გონებრივ-ემოციურ განვითარებას ბავშვისას. ამიტომ, ჩვენც ვცდილობთ, ისე წარვმართოთ ჩვენს აღსაზრდელბთან მუშაობა, რომ ისინი სიხარულით მოიქცნოდნენ საბავშვო ბაღში – გავაცნობიეროთ მათი სოციალურ-ემოციური სფერო, განვუვითაროთ მეტყველება, ლექსიკა, დაეუფლონ ხელოვნებას. ახლახანს მათ შემოდგომის ზეიმი ჩაატარეს, სადაც წარმოაჩინეს პედაგოგის მუშაობაც და თავიანთი შესაძლებლობებიც. ვნახოთ, წინ საინტერესო სამუშაო გველის მათთან, რაშიც დიდ დახმარებას გვიწვევენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების წამყვანი სპეციალისტები.



თინა ამბარდინიშვილი, სოფლის საექიმო ამბულატორიის ექიმი

დაბადებულია 1961 წელს საგარეჯოში. 1985 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის

სამკურნალო ფაკულტეტი. 1988 წლიდან საგარეჯოს საავადმყოფოს ფიზიოკაბინეტში დაიწყო მუშაობა, შემდეგ მუშაობდა მანავის საექიმო ამბულატორიაში თერაპევტად, სასწრაფო დახმარების სადგურში ექიმად, ხოლო 1993 წლიდან არის თოხლიაურის საექიმო ამბულატორიის ხელმძღვანელი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– საექიმო ამბულატორიის შენობა სულ ახლახანს შეკეთდა კაპიტალურად, გადაიხურა ახალი სახურავით, რემონტი ჩატარდა ოთახებს, მე, როგორც სოფლის ექიმი და ჩემთან ერთად მედიცინის და ნათელა ვარზაშვილი, ვემსახურებით სოფლის მოსახლეობას 0-დან ყველა ასაკის (1500-დან 2000-მდე) ადამიანს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რასაც ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის პროგრამა.

ლამზირა ზაქაიძე, სოფლის კულტურის ობიექტის ხელმძღვანელი



დაბადებული 1960 წელს, სოფელ თოხლიაურში. დამთავრებულია აქვს ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი და ამასთან ერთად აქვს იურიდიული განათლება. 1994 წლიდან თოხლიაურის სასოფლო კლუბის გამგეა. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

– ჩვენს კულტურულ ობიექტში ფუნქციონირებს ცეკვის შემსწავლელი ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელია გიგლა ნაჭყებია, სიმღერების შემსწავლელი ბავშვთა ანსამბლი – ხელმძღვანელი მაია სირბილაშვილი, საბავშვო თეატრი – ხელმძღვანელი თინიკო ბეჟიტაშვილი, ქალთა ტრიო: ლამზირა ზაქაიძის, მაია სირბილაშვილის და თინიკო მათიაშვილის შემადგენლობით. კულტურული ობიექტი განლაგებულია კარგად გარემონტებულ (ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა) ორ დიდ

და ერთ პატარა ოთახში. გვაქვს მუსიკალური ინსტრუმენტი – ფორტეპიანო. გვაქვს საკმაოდ კარგი პირობები სამუშაოდ.

გვერდები მოამზადა თინა ილაურმა

ქვიშის საუბარი

მთავარი დაავადების პროფილაქტიკა



სასუნთქი ორგანოების მწვავე ვირუსული დაავადებები, ანუ მწვავე რესპირატორული დაავადებები, ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში...

შეიძლება გახდეს ავად ამა თუ იმ რესპირატორული ინფექციით. გარდა ამისა, ეს დაავადებები ხელს უწყობენ ბაქტერიული ფლორის გააქტივებას და ისეთი გართულებების განვითარებას...

ზაფხულში ვირუსული ინფექციები თითქმის არ გვხვდება. სექტემბერში გავრცელდა ენტეროვირუსული და ადენოვირუსული ინფექციები, საერთოდ, დეკემბრის II ნახევრიდან ვრცელდება ხოლმე გრიპის ვირუსები...

წყობა, თუ გამოხატულია კრუპის ნიშნები - მყეფავი ხველა, სუნთქვის გაძნელება, ქოშინი, ღერბინება, თავის ტკივილი, გახანგრძლივებული ჰიპერთერმია 2 დღეზე მეტი...



თურგი... წლის ბიზნესულ სახელებში მარია და ნიკოლოზი ღიჯრობს

საქართველოში მიმდინარე წლის მონაცემების თანახმად, ახალშობილებს ყველაზე ხშირად ნიკოლოზს და მარიამს არქმევენ. წლების მანძილზე ახალშობილ ვაჟებს შორის პირველობას სტაბილურად სახელები გიორგი და ნინო ინარჩუნებდა...

ლია), ლიკა (290), თეკლა (285), ანამარია (269), ქეთევან (216), ნუცა (182), გვანცა (171), ნანა (136), ნათია (135), თათია (115), სესილი (112) და სხვა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, ყველა ასაკში ქალისა და მამაკაცის პოპულარული სახელები ასეთია: მამაკაცის სახელები: 1. გიორგი 2. დავითი; 3. ზურაბი; 4. ალექსანდრე; 5. ლევანი; 6. თეიმურაზი - (თემურ); 7. ნიკოლოზი; 8. მიხეილი; 9. თამაზი; 10. ირაკლი და სხვა. ქალის სახელები: 1. ნინო; 2. თამარ; 3. მარინე (მარინა); 4. მარიამი; 5. ლია (ლიანა); 6. მაია; 7. ქეთევანი; 8. ანა; 9. ნანა; 10. თინათინი და სხვა.

ქილია შემოდგომა, აცივდა. ძალაში შედის ზამთარი, რომელიც წელიწადის ყველაზე ხანძარსაშიში დროა, ეს განპირობებული არის გამთბობი ხელსაწყოების და ელექტროღუმელების მასობრივი გამოყენებით. სახალდო მეურნეობის ობიექტები და საცხოვრებელი უნდა მომზადდეს წესიერად ზამთრისათვის...

ზაფხულში ვირუსული ინფექციები თითქმის არ გვხვდება. სექტემბერში გავრცელდა ენტეროვირუსული და ადენოვირუსული ინფექციები, საერთოდ, დეკემბრის II ნახევრიდან ვრცელდება ხოლმე გრიპის ვირუსები...



რედაქტორი: თინათინ ილაური. „გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“. ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის უფროსი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაგრძობას უცხადებს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს შალვა ჯაბა-დარს დეიძის მისი კონსტაზილის გარდაცვალების გამო.